ახალი ხარაგაული

366 (25) 21 ნოემბერი, 2017 წ

ნიკოლოზ თოფურიძე უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა

ხარაგაულის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე, უფლებამოსილების განხორციელებას 13 ნოემბრიდან ოფიციალურად შეუდგა. მმართველი გუნდის კანდიდატმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 66 % მოიპოვა. **ნიკოლოზ თოფურიძე** ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის არჩეული გამგებელი გახლდათ.

ახალ ამპლუაში პირველი სამუშაო დღე მერმა თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყო და მათ მოადგილეების წარუდგინა.

ხარაგაულის მერიაში მოადგილეების რანგში ცვლილებები არ განხორციელებულა. პირველი მოადგილის პოსტს არჩილ მაღრაძე ინარჩუნებს, ხოლო მოადგილისას - თემურ ჩხეიძე. ასევე თანამდებობებზე რჩებიან სამსახურის უფროსები. რაც შეეხება შიდა აუდიტისა და მონიტორინგის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსებს, რომელთა თანამდებობები ამ ეტაპზე ვაკანტურია, თოფურიძე აცხადებს, რომ მათი ვინაობა ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს გასული ერთი წლის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობებისათვის და სამომავლო გეგმებსა და ძირითად პრიორიტეტებზეც ისაუბრა.

„თითოეულ თქვენგანს მადლობას გიხდით გამოცხადებული ნდობისთვის. ასევე პატივს ვცემ მათ გადაწყვეტილებას, ვინც სხვა არჩევანი გააკეთა. არავინ მძულს და ჩემი უმთავრესი მიზანი ხალხზე ზრუნვა და მათთვის უკეთესი გარემოს შექნაა. არ ვაანონსებ, მაგრამ გპირდებით, ოთხი წლის განმავლობაში ხარაგაულში ძალიან ბევრი რამ გაკეთდება. აქვე გეტყვით, რომ სახელმწიფო მოწყობა ხდება სულ სხვანაირი, საქმიანი და კონსტრუქციული. პროფესიონალი კადრები დაფასდებიან და დიდი ყურადღება მიექცევა თქვენს საქმიანობას," - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი მანანა ბარბაქაძემ დაიკავა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს მანანა ბარბაქაძე უხელმძღვანელებს. ეს გადაწყვეტილება დეპუტატების უმრავლესობამ 20 ნოემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მიიღეს. ამ პოსტზე მანანა ბარბაქაძის არჩევას მხარი 30-მა დეპუტატმა დაუჭირა. ხუთ მათგანს კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ ქალბატონი მანანა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში იკავებდა.

მანანა ბარბაქაძე 1957 წლის 3 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში დაიბადა;

1974 წელს დაამთავრა ქ. ზესტაფონის № 7 საშუალო სკოლა;1988 წელს მოსკოვის პოლიციის აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით; 1990 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვაჭრობის ეკონომიკისა და თანამედროვე კომერციული საქმიანობის სპეციალობით.

1975 წელს მუშაობდა შსს სხვადასხვა პოზიციაზე;

1978-1982 წლებში იყო შსს საბურთალოს რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციაში უფროსი ინსპექტორი; 1982-1984 წლებში შსს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სპეცნაწილის უფროსი, ხოლო 1984-1990 წლებში შსს საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის უფროს ინსპექტორი;

2000-2004 წლებში გახლდათ შსს ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილების უფროსი;

არის პოლიციის ვიცე - პოლკოვნიკი;

2012 წლიდან ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" საოლქო ორგანიზაციას.

ჰყავს ერთი შვილი და ორი შვილიშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოადგილედ რუსუდან გიორგაძე აირჩა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე სარგვეშის თემის მაჟორიტარი დეპუტატი რუსუდან გიორგაძე გახდა. ქალბატონ რუსუდანს ამ პოსტის დასაკავებლად მხარი 31 დეპუტატიდან 25-მა დაუჭირა. რუსუდან გიორგაძის ბიოგრაფიული მონაცემები ასე გამოიყურება:

დაიბადა 1954 წლის 26 აგვისტოს ქ.თბილისში;

1971-1977წ.წ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე; 1975-1980წ.წ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბიბლიოთეკამცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე;

2002 წელს გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ,,სწავლება-სწავლა თანამედროვე მიდგომების" კუთხით;

1983-1986 წ.წ. გახლდათ სახალხო განათლების სამინისტროს საბიბლიოთეკო კოლექტორში ბიბლიოგრაფი; 1986-1988 წ.წ. სახალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს ინსპექტორ-მეთოდისტის თანამდებობას იკავებდა; 1989-1997 წ.წ. მუშაობდა სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1997-2004 წ.წ. იყო განათლების სამინისტროს რეფორმის სამხარეო პროგრამების კოორდინაციის მთავარი სპეციალისტი;

2004 წელს დააფუძნა შპს ,,გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა"; 2014 წლიდან დღემდე არის შპს ,,დედოფალ ვიქტორიას ბრიტანული საერთაშორისო სკოლის" დირექტორი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გაუმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან 2018-2019 წ.წ. პრიორიტეტებზე იმსჯელა. მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლებს დიდი ყურადღება მიექცევა და ხიდების, ხიდბოგირებისა და გზების პრობლემა ეტაპობრივად აღმოიფხვრება. თოფურიძე მიიჩნევს, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება პირველი და უმთავრესია, რასაც მომავალში სოფლის ეკონომიკური და კულტურული განვითარება მოჰყვება.

ამავე დღეს ნიკოლოზ თოფურიძემ მოისმინა ინფორმაცია სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამუშაოები ხარისხიანად და ვადებში სრულდება. დასასრულს,მუნიციპალიტეტის მერმა წარმომადგენლებს მოუწოდა დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით მოეკიდონ ყველა მოთხოვნას, რაც სოფლის მოსახლეობიდან წამოვა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაკომპლექტდა

20 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომა ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გია ცისკაძემ, გახსნა. ბატონმა გიამ კიდევ ერთხელ შეაჯამა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები და ახლად არჩეულ დეპუტატებს ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. სხდომას, კანონის თანახმად, საკრებულოს უხუცესი წევრი– იუზა კელენჯერიძე- უძღვებოდა. საწყის ეტაპზე შეირჩა ხმის დამთვლელი კომისია, რომელიც სამი წევრისაგან (ლენა აბაშიძე, მალხაზ ფხალაძე, ვარლამ ჭიპაშვილი) დაკომპლექტდა. ასევე დროებითი სამანდატო–საპროცედურო კომისია, რომლის წევრებად დავით კიკნაძე, ოთარ ლურსმანაშვილი და ეკა შველიძე შეირჩნენ.

დროებითი სამანდატო-საპროცედურო კომისიის წევრები გაეცნენ საკრებულოს წევრთა დოკუმენტაციას და აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით და საკრებულოს ყველა წევრი არჩეულია კანონის შესაბამისად.

დღის წესრიგით შემდეგი საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა გახლდათ. უმრავლესობამ ამ თანამდებობაზე მანანა ბარბაქაძის კანდიდატურა დაასახელა

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ვანისა და ლეღვნის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მაჟორიტარმა დეპუტატმა ნიკოლოზ მაღრაძემ ლეღვანში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს. სოფელში გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და სამუშაოები დეკემბრის ბოლოს დასრულდება. რეაბილიტაცია სოფლის ცენტრალური გზის 4 კმ-იან მონაკვეთს უტარდება. პროექტის ფარგლებში სანიაღვრე არხები და წყალამრიდებიც ეწყობა.

„ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი გზაა, რაც მინახავს, - აღნიშნა თოფურიძემ ლეღვანში -ჩვენ დავპირდით მოსახლეობას - გზა ყველა სოფელს! და ეს პირობა სრულდება. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მოადგილეს, არჩილ მაღრაძეს, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების თანამშრომლებს, რომელთა დამსახურებით სამუშაოები ვადებში და ხარისხიანად სრულდება.“

ამავე დღეს მუნიციპალიტეტის მერმა და მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ვანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს. ვანში ბეტონის საფარი გზის 3 760 მეტრზე იგება. პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით 981 000 ლარით აფინანსებს და, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამუშაოები იანვრის ბოლოს დასრულდება.

მარელისში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში „სიდამ“ ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახორციელა. პროექტის ფარგლებში დაიდგა გარე განათების ბოძები და ნაგვის ურნები, დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე WiFi-ის აპარატი და ელექტროტექნიკის მრავალფუნქციური დამტენი საშუალებები.

პროექტის მენეჯერის, **დავით თარიმანიშვილის** განმარტებით, აღნიშნული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა იქიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ მარელისში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ცენტრალური შესასვლელი მდებარეობს და ტურისტულად დატვირთული ადგილია. „პარკს წელიწადში ნახევარი მილიონი ტურისტი სტუმრობს, მარელისი კი წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ შესასვლელს, სადაც განთავსებულია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და საოჯახო სასტუმრო. ინფრასტრუქტურული ობიექტების გაუმჯობესება და კეთილმოწყობა დასასვენებლად მოსულ ტურისტებს მეტ კომფორტს შეუქმნის,“ - აცხადებს თარიმანიშვილი.

სამუშაოები „სიდამ“ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით განახორციელა, პროექტ - „საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემებისა და მიკრო მეწარმეების შესაძლებლობების გაზრდის“ - ფარგლებში. ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა,“ მსოფლიო ბანკი და იაპონიის სოციალური განვითარების ფონდი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაკომპლექტდა

დასაწყისი ▶ 1 გვ.

და ფარული კენჭისყრის საფუძველზე საკრებულოს 30 წევრიდან ქალბატონ მანანას მხარი 30-ვემ დაუჭირა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ სარგვეშის მაჟორიტარი დეპუტატი, რუსუდან გიორგაძე, აირჩა.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს ასევე ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“, შექმნის საკითხს, რომელსაც პაატა გოგოლაძე უხელმძღვანელებს.

დღის წესრიგით ასევე გათვალისწინებული იყო კომისიების თავმჯდომარეების არჩევა, რომლებიც ასევე ფარული კენჭისყრით აირჩნენ:

იურიდიული, სამანდატო– საპროცედურო კომისია–თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისია–თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი;

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია–თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე;

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია–თავმჯდომარე დავით კიკნაძე;

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისია–თავმჯდომარე გივი თხელიძე.

ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობა იწყება

ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პირველი ნაწილის 25 კმ-იანი მონაკვეთის გზის მშენებლობა იწყება. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, **ლიკა ბუბაშვილმა**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერთან, **ნიკოლოზ თოფურიძესთან**, შეხვედრის დროს გააჟღერა. ქალბატონი ლიკას განცხადებით, სამუშაოების დაწყების მიზნით, ტენდერი უკვე გამოცხადდა და კომპანიის შერჩევა 15 დეკემბრისთვის დასრულდება.

,,მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვის სამინისტრო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებით დასკვნას გასცემს და ასევე მოხდება 50%-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების გამოსყიდვა, დაიწყება პირველი ლოტის სამუშაოები. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მშენებლობა, სავარაუდოდ, გაზაფხულიდან დაიწყება.

ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის საპროექტო პარამეტრები ასეთია: 50 კმ-იანი მონაკვეთი იქნება 2-ზოლიანი, თითო ზოლის სიგანე იქნება 3 მ, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე 6 მ.

შეგახსენებთ, რომ სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

საკადრო ცვლილებები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, კახაბერ გოლუბიანის, ინფორმაციით, ხელშეკრულებები შეუწყდათ მერის წარმომადგენლებს: დაბის (**პაატა ფცქიალაძე**), ხიდრის (**ბადრი ბერაძე**), სარგვეშის (**ამირან კამკამიძე**), საღანძილისა (**კობა ყრუაშვილი**) და წიფის (**მაია გაჩეჩილაძე**) ადმინისტრაციულ ერთეულებში. ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტებს: ვახანში - **მაია ბერძულს**; საღანძილეში - **მარინე ბერიძეს**; წიფაში - **ციცინო ინასარიძეს**; ბორითში- **ბადრი ბარბაქაძესა** და **ბესიკ სახვაძეს**; ხიდარში - **ონისე ჩაჩანიძეს**. საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რანგში **პაატა ფცქიალაძე** განაგრძობს მუშაობას. რაც შეეხება სხვა ვაკანტურ თანამდებობებს, გოლუბიანის ინფორმაციით, კადრები კონკურსის საფუძველზე შეირჩევა.

„შემოდგომის ზეიმს “ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე დაესწრო

ხარაგაულის პირველ საბავშვო ბაღში გამართულ ,,შემოდგომის ზეიმს“ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე და ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი დაესწრნენ.

,,შემოდგომის დილა“ - ასე ეწოდებოდა პრეზენტაციას, რომელიც 4-5 წლიანთა ჯგუფმა „ნერგებმა“ (პედაგოგები ია თაბუკაშვილი, ია შარიქაძე, თანაშემწე ლენა ტაბატაძე) წარმოადგინა.

ბარაქიანი შემოდგომის ნობათი, ცეკვა, სიმღერა, ბავშვების ენით ნათქვამი სამშობლოს სადღეგრძელოები, იმერელი ბებოსა და ბაბუს შეხმატკბილება და მშობლების ჩართულობა - ნამდვილად ქმნიდა იმ საზეიმო განწყობას, რაც ღონისძიებაზე პატარა აღსაზრდელებს მთელი გულით უნდოდათ გადმოეცათ. ოთახებში გაცოცხლებულიყო შემოდგომა, ყვითელი ფოთლებით მოეფინათ იატაკი... აღსაზრდელებს არც ჩურჩხელების ამოვლება დავიწყებიათ.

მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მადლობა გადაუხადა აღსაზრდელებსა და მათ პედაგოგებს საინტერესო ღონისძიებისათვის და ხაზგასმით, აღნიშნა რომ ყველა ნომერი მაღალ დონეზე იყო შესრულებული.

ბაღის მასწავლებლისთვის უმაღლესი განათლება სავალდებულო იქნება

საბავშვო ბაგა - ბაღების პედაგოგებს პროფესიული განათლების ხარისხის ასამაღლებლად იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ, რომელიც მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძველზე, „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“ შეიმუშავა,რომლის მიხედვით, 2024 წლიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმების მსურველს უმაღლესი განათლება მოეთხოვება.

2024 წლის პირველი სექტემბრიდან საბავშვო ბაღებში დასაქმების მსურველი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერ მიმართულებაში, როგორიც არის ჰუმანიტარული მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ხელოვნების მიმართულება. უნდა ჰქონდეს აღმზრდელის ან აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 4-წლიანი გამოცდილება და გავლილი ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულები. ამის გარდა, უნდა ჰქონდეს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, ხოლო მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგი , უნდა ფლობდეს უმაღლეს ან პროფესიულ სამუსიკო განათლებას. რაც შეეხება მათ, ვინც უკვე დასაქმებული არიან საბავშვო ბაღებში, მოუწევთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ტრენინგების გავლა, რის შედეგადაც შესაბამის ქულებს დააგროვებენ და აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსსაც მოიპოვებენ. ამისთვის კი ვადა მათ 2024 წლამდე აქვთ. აღმზრდელ-პედაგოგის ახალი სტანდარტის დანერგვა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული იმ რეფორმის ნაწილია, რომელთა განხორციელებაც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რამაზ ბლუაშვილთან შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკას პროექტის ფარგლებში ,,შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან" რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი სტუმრობდა. იგი წარმოშობით ხარაგაულელია და 60 დოკუმენტური ფილმის ავტორია. მის ნამუშევრებს ეკუთვნის 8- წლიანი კვლევა ამერიკის სამხედრო ავიაციის ლეგენდის, ალექსანდრე ქართველიშვილის, ცხოვრების შესახებ. ,,ავიაციდან პოლიფონიამდე და კოსმოსამდე", -ასე ჰქვია კვლევას, რომლის პრეზენტაციაც დამსწრე საზოგადოებას ბატონმა რამაზმა წარუდგინა.

ალექსანდრე ქართველიშვილმა ახალი სიტყვა თქვა ავიაციაში. იგი გახლავთ თვითმფრინავების - P-47-ის, F-84-ის, F-105-ის, A-10-ის შემქმნელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე მსოფლიო ომის დროს მის მიერ შექმნილი თვითმფრინავი Republik p-47, რომელიც ომის ბოლო წლებში საჰაერო ძალების ერთ-ერთ მთავარ ბომბდამშენს წარმოადგენდა.

როგორც რამაზ ბლუაშვილი იხსენებს, ამერიკის სამხედრო ავიაციის მიმართ ინტერესი ბავშვობიდან ჰქონდა და 2000 წელს, როდესაც სასწავლებლად ამერიკაში წავიდა, ძიება ამერიკის მუზეუმებში დაიწყო და სწორედ ამ პროცესში წააწყდა გვარს - ქართველს.

„ვიგებ, რომ ამერიკის სამხედრო ავიაციის ლეგენდა P-47 ალექსანდრე ქართველის შექმნილია. ის დაიბადა თბილისში 1896 წელს და აქ დამთავრდა მისი ბიოგრაფია. სამაგიეროდ, მრავლად იყო მასალა მის მიერ შექმნილ თვითმფრინავებზე. ძალიან გამიკვირდა, როდესაც ასეთი ლეგენდები აქვს შექმნილი და დღეს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეპოქაში, მასზე არსად არაფერი წერია. დავრეკე ისტორიულ საზოგადოებაში ლონგ-აილენდზე, სადაც ნებისმიერ ადამიანზე შეგიძლია ინფორმაციის მოპოვება. მეორე დღეს პასუხი იყო ასეთი: „ისეთ ადამიანზე, როგორიც იყო ალექსანდრე ქართველიშვილი, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია და უნდა მიმართოთ ორგანიზაცია „ნასას". დავდექი რეალობის წინაშე, რომ მე, ერთმა ვიღაც ქართველმა რეჟისორმა, უნდა დავრეკო მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და გასაიდუმლოებულ ორგანიზაციაში და უნდა მოვითხოვო ინფორმაცია. არქივში ოთხი თვის განმავლობაში გამუდმებით ვრეკავდი და, როგორც იქნა, მივიღე სასურველი პასუხი და აქ აღმოვაჩინე ისეთი დოკუმენტები, რომლებითაც მივხვდი, როგორი გასაიდუმლოებული იყო მისი ცხოვრება. ამერიკაში გრიფით საიდუმლოს მოხსნა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო ალექსანდრე ქართველის შესახებ ეს მოთხოვნა არავის დაუყენებია. შვილი არ ჰყოლია, ერთადერთი ნათესავი გახლავთ ცნობილი მხატვარი დიმიტრი ერისთავი, რომელიც მისი ალალი დისშვილია" - აღნიშნა რეჟისორმა.

ყოველივე ამის შემდეგ, რამაზ ბლუაშვილმა ალექსანდრე ქართველიშვილის საფლავის ძებნა დაიწყო და შედეგსაც მიაღწია. „ვიცოდი მხოლოდ ის, რომ დაკრძალული იყო ლონგ-აილენდზე. ამერიკის სასაფლაოები ცალკე ისტორიაა. ეს განსაკუთრებული ქვეყანაა, სადაც შეგიძლია, ნებისმიერ სასაფლაოზე იმეილი გააგზავნო. დავიწყე წერილების დაგზავნა და ერთხელაც მომივიდა პასუხი, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ ალექსანდრე ქართველიშვილი. მივედი საფლავზე. წარმოიდგინეთ, ვარ მარტო... ცოტა ხანში მომიახლოვდა ხანში შესული მამაკაცი. ის დაინტერესდა ჩემი ვინაობით. ჩვენ შორის ხანმოკლე საუბარი შედგა. ბოლოს მეუბნება სიტყვებს, რომლებიც არასდროს დამავიწყდება: ,,30 წელია ამ სასაფლაოზე ვმუშაობ და შენ პირველი ადამიანი ხარ, ვინც აქ მოვიდა. ნუ მიატოვებთ ამ საფლავს". - იხსენებს რამაზ ბლუაშვილი.

ამავე დღეს სტუმარმა მიმოიხილა, თუ როგორ მიიღო NASA-მ „ჩაკრულოს" კოსმოსში გაგზავნის გადაწყვეტილება.

„70-იანი წლების მიწურულს ლეგენდარულ ამერიკელ მეცნიერსა და ტელეწამყვანს, კარლ საგანს, გაუჩნდა იდეა, NASA-სთან ერთად განეხორციელებინა პროექტი და დედამიწიდან გაეშვათ რაკეტა, რომელზეც დატანილი იქნებოდა ძალიან დიდი ინფორმაცია დედამიწისა და მისი მობინადრეების შესახებ. შეიქმნა ,,ოქროს დისკი" და ამ დისკზე დატანილ იქნა დიდძალი ინფორმაცია. დისკზე ასევე დაიტანეს 27 მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ძალიან დიდი რუდუნებით შეირჩა და, მათ შორის, როსტომ ჩაგინაშვილის შესრულებული „ჩაკრულო".

შეხვედრის დასასრულს, საზოგადოებამ იხილა სექტემბერში ოპერისა და ბალეტის თეატრში „ვოიაჯერისა" და „ჩაკრულოს" კოსმოსში გაშვების საიუბილეო ღონისძიების მოკლე ჩანაწერი, რომელშიც 80 წლის ჯონ კასანი და 78 წლის როსტომ საგინაშვილი, სწორედ რამაზ ბლუაშვილის დამსახურებით შეხვდნენ ერთმანეთს.

რეჟისორი ხარაგაულელებს დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში ხარაგაულის კინოთეატრში მისი ბოლო ნამუშევარი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართება.

შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება დაესწრო.

სტუმარს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისგან საჩუქრად წმიდა სამების ხატი გადასცეს.

ეკა შავიძე

პროექტის ფარგლებში ,,ჩემი პირველი კომპიუტერი'' ხარაგაულიდან 22 მოსწავლე დაჯილდოვდა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში - „ჩემი პირველი კომპიუტერი," ზესტაფონში წარჩინებული მოსწავლეები კომპიუტერებით დაჯილდოეს. წარჩინებულ მოსწავლეთა შორის 22 მეათეკლასელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან იყო. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დირექტორის მოადგილე **გიორგი შალუტაშვილი**, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი **შალვა კიკნაველიძე**, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლელა სვიმონია, მუნიციპალიტეტების საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები, წარჩინებული მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

საკუთარ გამოსვლაში მოკლე სტატისტიკური მონაცემები გააცნო დამსწრე საზოგადოებას ქალბატონმა **ლელა სვიმონიამ**. მისი თქმით, წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი წარჩინებული (571) მოსწავლე იმერეთიდანაა. ლელა სვიმონიამ ყურადღება კადეტთა ლიცეუმზეც გაამახვილა და დასძინა, რომ საბაზო საფეხურის წარჩინებით დასრულებისათვის სამი კადეტი კომპიუტერით დაჯილდოვდა, მათ შორისაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის საჯარო სკოლის მოსწავლე **ანა გორგაძე**.

2016-2017 სასწავლო წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან საბაზო საფეხური ათებზე დაასრულეს და ლეპტოპები საჩუქრად მიიღეს:

№2 საჯარო სკოლა - **თამარ ჭიპაშვილი**, ლიზა ბარბაქაძე, ანი გაჩეჩილაძე;

N3 საჯარო სკოლა - **ნათია ბურჯანაძე**, მონიკა ბუცხრიკიძე, ნინო შარიქაძე;

ლაშის საჯარო სკოლა - **ნიკა ძიძიგური**;

ვარძიის საჯარო სკოლა - **მურად ოკრიბელაშვილი, დავით კოჩაძე**;

ბორითის საჯარო სკოლა - **ნია გორგაძე, სალომე რიკაძე**;

ბორის საჯარო სკოლა - **აზა ბერაძე, ნიკა ბერაძე, სალომე მაჭავარიანი**;

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა - **სალომე გოგოლაძე**;

კიცხის საჯარო სკოლა - **თამუნა ზვიადაძე, ნანა მდინარაძე**;

მოლითის საჯარო სკოლა - **ანა ყურაშვილი**;

მარელისის საჯარო სკოლა - **მარიამ კოჩაძე**;

ვაშლევის საჯარო სკოლა - **ბარბარა ბარბაქაძე, ია ბარბაქაძე**.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 6869,0 ათასი ლარით და 2017 წელთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 481,9 ათასი ლარით, შემოსულობების ზრდა გამოწვეულია ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები შემოსულობების, სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების გაზრდით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 4 ოქტომბრის N 04-03/149380 მომართვის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ,,საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის პროექტში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან სულ გამოეყო 5 554,0 ათასი ლარი, აქედან ტრანსფერი შეადგენს 4344,0 ათას ლარს და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები 1210,0 ათას ლარს, 2017 წელთან შედარებით ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 371,9 ათასი ლარით, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გადასახადები შემცირდა 90,0 ათასი ლარით;

სხვა შემოსავლების 2018 წლის გეგმა 2017 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 130,0 ათასი ლარით და შეადგენს 1245,0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები 2017 წელს დაგეგმილი არ ყოფილა, 2018 წელს კი დაიგეგმა 70,0 ათასი ლარი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვროს 2018 წლის შემოსულობების გეგმა 6 869,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

ა) გადასახადები - 1210.0 ათასი ლარი,

აქედან:

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობიდან - 160.0 ათასი ლარი.

ქონების გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე - 150.0 ათასი ლარი;

ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 900.0 ათასი ლარი.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ტრანსფერები - 4344,0 ათასი ლარი, აქედან:

გათანაბრებითი ტრანსფერი - 4 206,0 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 138.0 ათასი ლარი;

გ) სხვა შემოსავლები - 1245.0 ათასი ლარი, აქედან:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 100.0 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) - 30.0 ათასი ლარი;

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 40.0 ათასი ლარი;

ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1075.0 ათასი ლარი;

დ) არაფინანსური აქტივების კლება - 70.0 ათასი ლარი;

2. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 6869.0 ათასი ლარით;

მათ შორის:

01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2210.1 ათასი ლარი, მათ შორის:

01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - 508.9 ათასი ლარი;

01 02 მუნიციპალიტეტის გამგეობა- 1651.2 ათასი ლარი;

01 03 სარეზერვო ფონდი - 50,0ათასი ლარი.

00 თავდაცვა - 84.6 ათასი ლარი, მათ შორის:

02 02 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 84.6 ათასი ლარი;

03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია- 1405.4 ათასი ლარი;

მათ შორის:

01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 321.4 ათასი ლარი, აქედან:

03 01 01 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა- 255.4 ათასი ლარი.

03 01 02 ხიდების, ბოგირების აშენება-შეკეთება - 50.0 ათასი ლარი.

03 01 04 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 16.0 ათასი ლარი.

02 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია- 882.0 ათასი ლარი, აქედან:

03 02 01 სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა -20.0 ათასი ლარი.

03 02 02 დასუფთავების ღონისძიებები ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავება" - 620.0 ათასი ლარი.

03 02 03 მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 50.0 ათასი ლარი.

03 02 04 წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 15,0 ათასი ლარი.

03 02 05 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობა" - 172,0 ათასი ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეალიზაცია - 5,0 ათასი ლარი;

04 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 192.0 ათასი ლარი, აქედან:

03 04 01 პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობა"- 187,0 ათასი ლარი.

გაგრძელება ▶ გვ 4.

,,მკითხველთა კლუბი'' ხარაგაულში

ხარაგაულში ,,მკითხველთა კლუბი“ იქმნება. აღნიშნული იდეის ავტორი ბლოგერი, ელ-ჟურნალ ,,ჟოლოს“ ჟურნალისტი და რედაქტორი, ხარაგაულელი მარიამ შარიქაძეა. როგორც ჩვენთან საუბარში მარიამი აღნიშნავს, ,,მკითხველთა კლუბი'' ესაა მოტივირებულ და განვითარებაზე ორიენტირებულ თანამოაზრეთა გუნდი, სადაც ადამიანები ერთი იდეის გარშემო ერთიანდებიან. ,,თუ თვლი, რომ ნებისმიერი წარმატება მუდმივად სწავლითა და თვითგანვითარებით მიიღწევა, მაშინ მოემზადე ახალი, საინტერესო ცხოვრების დასაწყებად და იმოქმედე ახლავე, გაწევრიანდი ''მკითხველთა კლუბში.“- აცხადებს იდეის ავტორი და აქვე დასძენს, რომ კლუბის მისია საზოგადოებაში არაფორმალური განათლების, პერსონალური განვითარების სტიმულირება და ხელშეწყობაა. მარიამი ამბობს, რომ პროექტის უმთავრესი მიზანი ადამიანების წიგნებთან დაახლოებაა.

აღსანიშნავია, რომ კლუბში გაწევრიანება 30 ნოემბრამდე 16-დან 30-წლამდე ასაკის პირებს შეუძლიათ. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ, ტელ: 557 93 89 92.

,,თუ მზად ხარ სიახლეებისთვის, მაშინ შემოგვიერთდი, გამოიყენე შანსი, რომელსაც ცხოვრება დღეს გთავაზობს და გახსოვდეს, რომ წარმატებას სწორედ ისინი აღწევენ, რომლებიც ამჩნევენ ახალ შესაძლებლობებს და ბოლომდე მიჰყვებიან მას“, - ამ სიტყვებით მიმართავს დაინტერესებულ პირებს მარიამ შარიქაძე.

ეკა შავიძე

პატარებისათვის საბავშვო სპექტაკლი მოეწყო

15 ნოემბერს ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე), საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის სპექტაკლი „აბა, დამაცადეთ, თაგუნებო!“, ხარაგაულის კინოთეატრში ორჯერ გამართა.

აღსაზრდელები დიდი ემოციებით ადევნებდნენ თვალყურს ორი თაგუნას-კიწისა და კიკის-თავგადასავალს დეიდა მარინეს სახლში. თაგვებისგან შეწუხებულმა მარტოხელა ქალმა სახლში ფისო მოიყვანა მათ მოსაგერიებლად, მაგრამ ნაცვლად მოგერიებისა, დამეგობრდნენ.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი, რომელიც ეფემ ჩაპოვეცკის მოთხრობის მიხედვითაა დადგმული წიფის პატარებისათვისაც მოეწყო.

ანზორ ლურსმანაშვილის ხსოვნის პატივსაცემად ამხანაგური მატჩი გაიმართა

10 ნოემბერს თეთრაწყაროსა და ბორითის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდებმა ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ამხანაგური მატჩი გამართეს. მატჩი მურმან ლურსმანაშვილისა და სულიკო დონაძის ინიციატივით ჩატარდა და თეთრაწყაროს მკვიდრ ანზორ ლურსმანაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა და ანზორ ლურსმანაშვილის შვილიშვილი, სანდრო მესხი, დაესწრო. საბოლოო ანგარიში 6:6 დამთავრდა.

უსინათლოთა არაფორმალური განათლების პროექტი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ხარაგაულში ხორციელდება

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ,,უსინათლოთა არაფორმალური განათლების“ პროექტის ფარგლებში სამი თვის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე ბენეფიციარებმა შესწავლილი მასალა წარმოადგინეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი სასწავლო კურსები მათთვის აუცილებელი და საჭიროა. ისინი იმედოვნებენ, რომ მომავალში სასწავლო პროცესები გაგრძელდება და მათი ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდება.

როგორც პროექტის მენეჯერმა, **გულიკო ჭარბაძემ**, აღნიშნა, ბიბლიოთეკის ბაზაზე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით უსინათლოთა მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ მომავალში პროექტს სხვადასხვა შემოქმედებითი და სპორტული წრეები დაემატება. ხარაგაულში ამჟამად მხედველობაშეზღუდული 60 ბენეფიციარია, პროექტში კი მხოლოდ 12 ჩაერთო.

ღონისძიებაზე მოწვეული იყო საქართველოს უსინათლოთა კავშირის ზესტაფონის ფილიალის ხელმძღვანელი ვასილ ლომიძე, რომელმაც პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია ტრანსპორტი, რომელიც სოფლებში მცხოვრებ უსინათლო პირებს მოემსახურება.

შეგახსენებთ, რომ პროექტის ფარგლებში უსინათლო პირები ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და ბრაილის შრიფტით წერა-კითხვას სწავლობენ.

გულნარა ჭარბაძემ სასწავლო კურსის მიმოხილვის შემდეგ სტუმრებს ღონისძიების ლიტერატურული ნაწილი შესთავაზა. საღამო ლადო ასათიანის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. პოეტის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებსა და მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე მესამე საჯარო სკოლის პედაგოგმა ქალბატონმა მერი გიორგიძემ ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ ლადო ასათიანის რამდენიმე ლექსი ბენეფიციარებმა თავად წაიკითხეს. პოეზიის გარდა საღამოზე წარმოდგენილი იყო მუსიკალური ნომრებიც.

პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 7 200 ლარი გამოიყო და იგი მიზნად ისახავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო პირების სამოქალაქო აქტივობაში ჩართულობას, მათთვის ხელმისაწვდომი გზით ინფორმაციის მიღების ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი აქტივობა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ხარაგაულში ხორციელდება.

თამარ მაღრაძე

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

2018 წლის 12 იანვარს, 14:00 საათზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15) გაიმართება აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ბეჭვდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

Information about public consultation

Roads Department of Georgia makes this announcement to the attention of stakeholders that public consultation on Environmental and Social Impact Assessment of Works for the Improvement of Chumateleti-Khevi Section of E-60 Highway is planned to be held at the Kharagauli Municipality 13 January 2018 at 14:00. Address: Kharagauli, №15 9 April Str.

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www.georoad.ge; and hard copy of the document will be available at Kharagauli Municipality.

Please send your comments and remarks below mentioned Contact persons:

Maya Vashakidze. Tel: 593323077; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk

Gia Sopadze Tel: 599 93 92 09; E-mail: gia.sopadze@georoad.ge

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასაწყისი ▶3 გვ.

03 04 02 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 5.0 ათასი ლარი.

03 06 სოფლის მეურნეობის დაფინანსება 10,0 ათასი ლარი.

04 00 განათლება - 1 180.8 ათასი ლარი, აქედან:

- 04 01 სკოლამდელი განათლება ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება - 1000.0 ათასი ლარი.

- 04 02 ზოგადი განათლება სსიპ ბორის სკოლა-პანსიონი - 77.8 ათასი ლარი.

- 04 03 ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 103.0 ათასი ლარი.

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1 254.2 ათასი ლარი, აქედან:

05 01 სპორტის განვითარებაზე - 381.2 ათასი ლარი, მათ შორის:

05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 11.0 ათასი ლარი.

05 01 02 ა(ა)იპ სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრი - 250.0 ათასი ლარი.

05 01 05 ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი - 120.0 ათასი ლარი.

05 02 კულტურის განვითარებაზე - 759.0 ათასი ლარი, მათ შორის:

05 02 01 ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - 112.0 ათასი ლარი.

05 02 02 ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლი - 40.0 ათასი ლარი.

05 02 03 ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 262.0 ათასი ლარი.

05 02 04 ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა - 175.0 ათასი ლარი.

05 02 05 ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი 115.0 ათასი ლარი.

05 02 06 ა(ა)იპ ლიტერატურული თეატრი 55.0 ათასი ლარი.

05 03 ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი “- 53,2 ათასი ლარი.

05 04 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 11. 0 ათასი ლარი.

05 05 რელიგიის დაფინანსება - 50,0 ათასი ლარი.

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 733.9 ათასი ლარი. მათ შორის:

- 06 01 ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 126.9 ათასი ლარი.

- 06 02 სოციალური პროგრამები - 581.4 ათასი ლარი.

მათ შორის:

- 06 02 01 უფასო სასადილოს დაფინანსება ა(ა)იპ,, სათნოების სახლი“ - 93.0 ათასი ლარი.

- 06 02 02 სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის და დახმარების ხარჯები 420.0 ათასი ლარი.

- 06 02 03 სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 5,0 ათასი ლარი.

- 06 02 04 ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის დახმარების ხარჯები - 37.0 ათასი ლარი.

- 06 02 05 ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯები - 2,0 ათასი ლარი.

- 06 02 06 სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა - 50.0 ათასი ლარი.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ 6869.0 ათასი ლარის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 336.2 ათასი ლარი, 4,9 %.

დარჩენილი 6532,8 ათასი ლარიდან მიმართულია:

შრომის ანაზღაურებაზე - 1679.0 ათასი ლარი, 25.7 %.

საქონელსა და მომსახურებაზე - 620.5 ათასი ლარი, 9.5 %.

მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 112.0 ათასი ლარი, 1.7 %;

მივლინება 12.7 ათასი ლარი , 0,2%;

ოფისის ხარჯები 144.6 ათასი ლარი, 2,2 %;

წარმომადგენლობითი ხარჯები 26,0 ათასი ლარი, 0,4 %;

ტრანსპორტის ხარჯები 114.2 ათასი ლარი, 1,7 %;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 211.0 ათასი ლარი, 3.3 %;

სუბსიდიებზე - 3621,9 ათასი ლარი, 55.4 %;

სოცუზრუნველყოფაზე - 459.0 ათასი ლარი, 7.0 %;

გრანტზე - 0,4 ათასი ლარი, 0,1 %;

სხვა ხარჯებზე - 152.0 ათასი ლარი 2.3 %.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ვლადიმერ გელაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22-32-25; ტირაჟი 1500 ცალი

დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12